# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხუთშაბათი, 25 მარტი 1910 წ.

№ 42

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც ტფილისში ისე ტფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: ტფილისში 80 კაპ. ტფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით ტფილისში 2 მ. 20 კ., ტფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც ტფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე —10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ყოველთვის საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: ტფილისი, ვანქის ქუჩა



## თამბაქოს ფაბრიკა ა. ენფიანჯიანცისა

ამით აუწყებს თავის მუშტარს, რომ ამ ჟამათ ახალ მაშინების შეძენითა და ზედ-მეტ საათის სამუშაოს შემოღებით ფაბრიკა ამზადებს დღე-დამეში

—1,200,000—

ამიტომ ეხლა საშუალება გვაქვს მომავალში თავის დროზე დაუგვიანებლათ შევასრულოთ დაკვეთილი საქონელი.

ამასთან ფაბრიკა საჭიროთ სთვლის მიაქციოს პაპიროსის მწეველთა ყურადღება პაპიროსს

**ვესტრა** 25 ცალი 10 კაპ. 15 ცალი 6 კაპ.

ეს პაპიროსები თავის განსაკუთრებულ თვისებით ბევრით განირჩევა ყველა სხვა პაპიროსებისაგან, რომლებიც კი მოიპოვება ბაზარზე. ამის დასამტკიცებელი ისიც არის, რომ ეს პაპიროსები მეტათ ბევრი ვრცელდება პაპიროსის **მწეველთა შორის.** (3—გ.—2)



## ქართული თეატრი

შაბათს, 27 მარტს,

**გრიგოლ რობაქიძე**

წაიკითხავს ქართულათ საჯარო ლექციას ამ თემაზე

**რელიგია მშვენიერებისა**

(შესახებ ოსკარ უაილდის შემოქმედებისა)

— ● პროგრამა ლექციისა ● —

შესავალი.—ცხოვრება და შემოქმედება.—სიყვარული და უკვდავება.—მხატვრული სახე როგორც სიმბოლო უკვდავისა და მარადისა.—უაილდის ესთეტიური თეორია.—ზღაპრები უაილდისა.—დრამა „სალომე“ (სიყვარული და სიკვდილი).—რომანი „დორიან გრეი“ (ტრაგედია მშვენიერი სიცოცხლისა).—სულიერი დრამა უაილდისა. (თხზულება «De profundis») .—მნიშვნელობა უაილდისა.

0—3

**ბილეთები იყიდება თეატრის კასაში** ✠ **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ორშაბათს, 29 მარტს მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა** გამართავს წარმოდგენას

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის, მ. მ. საფაროვის, ვ. აბაშიძის, კ. ყიფიანის და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

**ხათაბალა**

კომ. 4 მოქ. და 5 სურათათ თხზ. გ. ნ. სუნდუკიანცის.

მოთამაშენი ქ-ნნი: ნ. მ. გაბუნია-ცაგარელი, მ. მ. საფაროვ აბაშიძე, ნ. გამყრელიძე, ა. ნებიერიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ა. იმედაშვილი, შ. საფაროვი და სხ.

ადგილების ფასი: ლოჟები 7 მ. 12 მ. დე; პარტერი 1 მ.-დან ვიდრე 4 მ.-დე; გალერეა 25—60 კ.-მდე.

**დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.** რეჟისორი ვ. აბაშიძე.



ამით ჩვენ ურჩევთ ყველა მეაბრეშუმეთ ნუ მოერიდებიან ცოტათი მეტ ფასს და შეიძინონ

**„სოტირი ადრის“ (ბაღდადის) აბრეშუმ ს თესლი**

თუმც ეს თესლი შეიძლება სხვაზედ ცოტათია მეტი ღირდეს, სამაგიეროთ ყოვლად საიმედო და უტყუარი გამოდის, რადგანაც, როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, ეს ფირმა საზღვარგარეთ ყველაზედ საუკეთესოთ უცნიათ და ოფიცალურ დაწესებულებას უმაღლესად დაუმტკიცებია. **რომ ეს თესლი იაფათ შეიძინოთ, უნდა მიმართოთ პირდაპირ ფაბრიკის სკლადში, ბათუმში მარიინსკი პროსპექტზე № 19 სახლში, (საურთიერთო ბანკის ქვეშ).** (12—9)



**მსურველს**

მინდა გადავსცე ქალაქისაგან იჯარით აღებული სამოსახლო მიწა

✦● ნაძალადევში. ●✦

ფასების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ბაუხადიასთან, გოგოლის ქუჩა, სახლი № 37. (2—2)



კბილის ექიმი

**რომანოშვილი—დზებუაძისა**

იღებს ვათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის აკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნურ კბილების ჩასმა ყველასათვის ხელისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დკლებულ ფასებში.

ახალი ბნა: ავჭალის ქუჩა № 34.



**ქართველთ გამომცემელ ამხანაგობის**

**„ცინკოგრაფია“**

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და სრულებს სუფთათ თავის დროზე.

**ადრესი:** ტფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ქვემო სართულში. (0—20)



სახაზინო თეატრი

I

„კაცი მომავლისა“ (ფრ. ნიცშესი).

(Человѣкъ будущаго)

II

„რელიგია მშვენიერებისა“ და „ტანჯვისა“ (ოსკარ უაილდი)

ამ თემაზე ლიტერატორი **ნ. ი. აბრამიშვილი** წაიკითხავს სახაზინო თეატრში დღეს, 25 და ხვალ, 26 მარტს, საღამოს 8 საათზე

**ორ ლექციას**

დაწვრილებით აფიშებში. ადგილების ფასი ძლიერ დაკლებულია



სახაზინო თეატრი

9 აპრილს ექიმი გ. გ. **სობოლევიკი** წაიკითხავს ლექციას თავის მოგზაურობაზე შუაგულ აფრიკაში.

**კონგო**

ფასები ძლიერ დაკლებულია.

ბილეთები იყიდება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში.

ბარიათინსკის ქუჩა № 5.



მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

5 აპრილს გაიმართება ქართული წარმოდგენა:

**ორი დარაჯი**

დრამა 3 მოქმედებათ

წარმოდგენის შემდეგ გაიმართება კონცერტი კ. **ჩარკვიანის** ლოტბარობით.



ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით **ილია ბახტაძე** წაიკითხავს საჯარო ლექციას ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ნაოდალევს და ჭიათურაში შემდეგ თემებზე:

● **„ბატონ ყმობა და დანიელ ჭონქაძე“ და ჩვენი ახალგაზრდა პოეტები: ვარლამ რუხაძე და მისი პოეზია“** ●

ლექციის წაკითხვის დრო ყოველ ქალაქში და დაბაში ცალკე აფიშებით ეცნობება საზოგადოებას. (8—ის.—7)


## ტფილისი, 25 მარტი.

უკანასკნელმა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში მიზნათ დაისახა ფეოდალური რუსეთის ბურჟუაზიულათ გარდაქმნა, მაგრამ ეს მოუხერხებელი შეიქნა. მოძრაობამდე ფეოდალების ციხე სიმაგრეს შეადგენდა თავად-აზნაურთა კრებები და მათი აღმასრულებელი ორგანოები—საკრებულონი. მთავრობაზე რომ მეტი გავლენა მოეხდინათ, თავად-აზნაურებმა მოინდომეს ყველგან ერობებში გაბატონება, საცა წინათ უფრო ჰპარბობდა ეგრეთ წოდებული მესამე ელემენტი, ამ მიზანსაც სავსებით მიაღწიეს: ერობების უმეტესობაში, თითქმის ყველგან რუსეთში თავად-აზნაურობის მემარჯვენე ელემენტები მოხვდენ. ამნაირათ მეორე დაწესებულებაც ჩაიგდეს ხელში, და აქედან მთავრობას თავის ძალა დაანახვეს. ამითაც არ დაკმაყოფილდენ: შექმნეს სულ ახალი ორგანიზაცია. კრებები შეერთებულ თავად აზნაურთა, მუდმივი აღმასრულებელი ორგანოთი—საბჭოთი. ეს ახალი ორგანიზაცია აერთებს მთელი რუსეთის თავად აზნაურობას, სათავად-აზნაურო კრებები კი მხოლოდ ერთ გუბერნიის ფეოდალებს აკავშირებს და ამიტომაც შეერთებულ თავად-აზნაურთა კრებებს მთავრობის თვალში მეტი პატივი დაედო. პირველ ხანებში ამათი კრებები კონსპირატიული ხასიათისა იყვენ, კრებებზე არავის არ უშვებდენ გარეშე მაყურებელთ, დადგენილებები გამოქონდათ და პირდაპირ მთავრობას უდგენდენ. მათი დადგენილებების თანახმათ მთავრობამ გარეკა პირველი და მეორე დუმა, მოახდინა სახელმწიფოებრივი გადატრიალება (переворотъ) და გამოსცა ახალი საარჩევნო კანონი—3 ივნისის, რომელმაც მოგვცა მესამე დუმა, საცა დიდ უმრავლესობას შეადგენენ სწორეთ თავად-აზნაურობა და ყოფილი მსხვილი „ჩინოვნიკობა“. ყველა დაწესებულებებზე ძლიერი დღეს სახელმწიფო დუმაა და ესეც ფეოდალების ხელში მოხვდა და მათ შერყეული მდგომარეობის გამაგრებას ემსახურება, თუმცა ობიექტიურათ დუმას ჩვენთვისაც თავის მნიშვნელობა აქვს, როგორც ტრიბუნას, საიდანაც მთელ რუსეთის გასაგონათ თითო-ოროლა წარმომადგენლს საშუალება ეძლევა სიმართლე ილაპარაკოს.

შეერთებული აზნაურები არ კმაყოფილდებიან ყველა იმ დათმობებით, რომელნიც მთავრობამ მათ უწყალობა, ისინი თავის უკანასკნელ კრებაზე უფრო შორს წავიდენ და მოითხოვეს დუმის დეპუტატების ალაგმვა, მათი სიტყვების ცენზურა. მომხსენებელმა გრაფმა ბობრინსკიმ კრებას აუწყა, რომ დუმაში არის 37 დეპუტატი, რომელთაგან ბევრი ნამყოფი არის ციმბირში, ციხეში, ბორკილებში. ისინი თავის სიტყვებში სასტიკათ კიცხავენ შეერთებულ აზნაურობას, მემამულეებს, კაპიტალისტებს, ადმინისტრაციას, სასამართლოს, სენატს, სახელმწიფო საბჭოს, ეკლესიას და თვითმპყრობელობას. მომხსენებელს თვით სიტყვებიც კი მოყავს ზოგიერთი დეპუტატების და ბოლოს დაასკვნის, რომ სახელმწიფო დუმაში ლაპარაკობენ ისეთ სიტყვებს, რომლებიც აღელვებენ ხალხს და ამიტომაც საჭიროა შემდეგი რეზოლიუცია მივიღოთო: „კრებამ დაადგინა ამ მოხსენებაში წამოყენებული კითხვა წარუდგინოს მთავრობას განსახილველათ. ამასთანავე კრება სრულიად დარწმუნებულია, რომ მთავრობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს რუსეთის მშვიდობიან განვითარებისათვის არა სასურველ შედეგებს, რომლებიც გამომდინარეობენ ასეთ სამწუხარო მოვლენიდან“. რეზოლიუცია კრებაზე ერთ ხმათ იქნა მიღებული; ამის წინააღმდეგ არა თუ ხმა არ ამოიღო ვინმემ, კიდევ უფრო მეტიც თქვეს მომხსენებელზე: დუმაში წარმოთქმული სიტყვები ფრიად საშიშარნი არიან, რადგანაც ისინი იბეჭდებიან სახელმწიფო ხარჯზეო, ამბობს ერთი ორატორი; მემარცხენე ორატორების სიტყვები უმთავრესათ იმით არის საშიშარი, ამბობს მეორე ორატორი, რომ მათში არის დადებითი პროგრამები: ძალათ მიწების ჩამორთმევა, კაპიტალთან საბრძოლველათ მოწოდება, შრომის გაუმჯობესებაზე ლაპარაკი და სხვ...

ახლა იცით, როგორ სურთ აზნაურებს დუმის მემარცხენე ორატორების სიტყვების ცენზურა? მთავრობა, მომხსენებლის აზრით, იქონიებს გავლენას დუმის თავმჯდომარეზე და ეს უკანასკნელი შესძლებს ალაგმვას „ურჩი“ ორატორებისას. ამასთანავე იმუქრებიან აზნაურები: თუ მთავრობამ ერთი წლის განმავლობაში არაფერი გაარიგა ამ მხრით, მაშინ მომავალი კრება შეერთებული აზნაურობისა თავის ზომებს მიიღებსო.

ასე იმუქრებიან „ზუბრები“. იღონებს მთავრობა მათი სურვილების დასაკმაყოფილებლათ რაიმეს, თუ დატოვებს უყურადღებოთ? მთავრობა, ჩვენის ფიქრით, უსათუოთ შეეცდება ამოს ბრწყინვალე „ზუბრებს“, მხოლოთ არ ვიცით, როგორ მოიქცევა არა აზნაური გუჩკოვი, რომელმაც თავის პირველ გამოსვლაში სიტყვა დადვა დუმის წინაშე, რომ ის, დეპუტატებისთვის მაინც, მოხრეა სიტყვის სრული თავისუფლების. ვნახოთ, როგორ შეასრულებს დანაპირებს!

## სახელმწიფო დუმა

(სააგ. დეპ.)

24 მარტა.

თავმჯდომარეობს გუჩკოვი. იხილავენ საზღვაო-სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას.

**თ. დ. ბარიათინსკი** მოითხოვს აღდგენილ იქნას კრედიტი გემების შეკეთების და აშენებისათვის. ორატორს წინადადება შეაქვს ითხოვონ უმაღლესი ნება მოხდეს სენატორის რევიზია საზღვაო უწყებისა. წინადადებას ღებულობენ. ღებულობენ აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვის 11 მუხლს.

სხდომა სწყდება. სხდომის განახლებისას განაგრძობენ ისევ ხარჯთ-აღრიცხვის დანარჩენი მუხლების განხილვას და ყველას ღებულობენ.

**ს. დემოკრატების შეკითხვა**

იხილავენ ს.-დემოკრატების შეკითხვას შინაგან საქმეთა მინისტრისადმი 1905 წლის 2 დეკემბრის უქაზის წინააღმდეგ ეკონომიურ გაფიცვისთვის გაკენტალის არმატურის ქარხნის 23 მუშის დაჭერის შესახებ. ზახაროვი მეორე და პრედკალნი მოითხოვენ შეკითხვა საჩქაროთ იქნას განხილული. თავ. კურაკინი წინააღმდეგია. შეკითხვის საჩქაროთ განხილვას უარყოფენ.

იხილავენ 31 წევრის განცხადებას ფინლიანდიის შესახებ კანონ-პროექტის განსახილველათ შემდგარ კომისიას მიემატოს კიდევ ერთი წევრი შრომის ჯგუფიდან. განცხადებას მხარს უჭერენ ლიახნიცკი, ნეკრასოვი, თავ. უვაროვი და ბულატი. წინააღმდეგია კრუპენსკი. წინადადებას უარს ყოფენ.

შემდეგ დმიტრიუკი მოხსენებას აკეთებს სახელმწიფო კანტროლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. ცოტა კამათის შემდეგ ხარჯთ-აღრიცხვას ღებულობენ. ღებულობენ გზათა და სამხედრო სამინისტროს არაჩვეულებრივ ხარჯების ხარჯთ-აღრიცხვას ამ გვარათ დასრულდა ყველა უწყებების ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა.

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს, რომ 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვით შემოსავალი 424,000 მანეთით მეტია გასავალზე. თავმჯდომარე აცხადებს, რომ პირველ დუმის დროს ბიუჯეტის განხილვა დასრულდა 19 ივნისს, მეორეს—1 მაისს და მესამეს—23 მარტს. ალექსეენკო ტრიბუნიდან ჩამოდის. მას მთელი დუმა ტაშს უკრავს. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 24 მარტს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 მარტი.

**ოსმალეთი**

**სალონიკი.** რადგან მთელ მხარეში არეულობაა, იპეკის სანჯაკში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

**საზღვარ-გარეთ**

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. დილის სხდომაზე, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო, ჩვენებას ართმევენ კომაროვსკის დედას. გრაფინია ამბობს, რომ ორიოლში დეპეშა მიიღო შვილი სიკვდილის პირზეაო და დაუყოვნებლივ წავიდა ვენეციაში. გზაში გაზეთებიდან გა-

იგო მომხდარი ამბავი. ის დარწმუნებულია ნაუმოვი თავის დღეში არ მოკლავდა კომაროვსკის, უკეთუ სხვის გავლენის ქვეშ არ ყოფილიყო, ნაუმოვი, კომაროვსკის მეგობარი. შემდეგ გრაფინია ამბობს, რომ მისი შვილი სიცოცხლის დაზღვევის წინააღმდეგი იყო. გრაფინიას ლაპარაკის დროს ნაუმოვი პირზე ხელს იფარებს. კითხულობენ სხვადასხვა ჩვენებებს. სხდომა იხურება.

**ვენეცია.** საღამოს სხდომაზე წაიკითხეს ტარნოვსკაიას მიერ პრილუკოვისადმი მიწერილი 23 წერილი. ტარნოვსკაია უარს ამბობს ამ წერილებზე. კითხულობენ ვენაში და მოსკოვში მყოფ მოწმეების ჩვენებებს. შემდეგი სხდომა—25 მარტს.

**ტულონი.** გაიფიცენ მეზღვაურები.

**ბერლინი.** პოლიციის პრეზიდენტმა აკრძალა ბისდარფში სოციალდემოკრატების კრება, რომელიც მახლობელ კვირას უნდა მომხდარიყო.

**რუსეთი**

**დონის-როსტოვი.** აზოვში ნავთსადგურის მუშებში არეულობა მოხდა. მიზეზი ნავთსადგურის მუშათა არტელის მიერ საიჯარო ფასის აწევაა, რის გამო ექსპორტიორებმა მეორე არტელი შეადგინეს. პირველმა ძალა იხმარა და არ მიუშვეს ახალი მუშები. ოლქის უფროსი გაემგზავრა 40 კაზაკით.

**ნოვოჩერკასკი.** საოლქო სასამართლომ განიხილა ს.-რევოლიუციონერების და სტრაჟნიკების შეტაკების საქმე. შეტაკების დროს მოკლულ იქნა ერთი სტრაჟნიკი და მეორე მძიმეთ დაიჭრა. სასამართლომ ერთს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, ორს—15 და 6 წლის კატორღა.

**რიგა.** აქაურმა ადმინისტრაციამ ცნობა მიიღო, რომ სოხუმში დაატუსაღეს „დენშჩიკი“ სტარჩაკი, რომელმაც 1908 წელს მოკლა პორუჩიკი ერშოვი, მისი ცოლი და სიდედრი.

**ოდესა.** მესამოცე ქვეითა ჯარის პოლკის შენობაში, სადაც სათადარიგო ჯარის კაცებს ღებულობენ, ჯარის-კაცთა ჯგუფმა, უმთავრესათ მუშებმა არეულობა მოახდინეს. პოლიციამ ერთი ჯარის-კაცის დაჭერა მოინდომა, მაგრამ სხვებმა არ დაანებეს და ფანჯრების მინები ქვებით ჩალეწეს. ერთმა გოროდოვოის ქვა. ესროლა გოროდოვოიმ თოფი ესროლა და დასჭრა თავში. ქვებით თავი გაუტეხეს ორ უბნის ზედამხედველს დი ორ გოროდოვოის. გამოიწვიეს ჯარი. წესიერება აღდგენილ იქნა. მრავალი დაიჭირეს. დაჭრილი მოკვდა.

**როვნო.** როვენსკის მაზრის, დაბა ბერეზნოში გადაიწვა ორასი სახლი.

# მაშვრალთა მგოსანი

**ბაბილინას.**

მზის ამოსვლის შესახვედრათ
გადაჭქროლა მერცხალთ გუნდმა
მასაც სურდა!—მაგრამ ვერა...
დაატყვევა შრომის ხუნდმა.
ბაბილინა.

***

მარტოთ იყო... მთელ ღამეში
არ ეღირსა ოდნავ ძილი;
და ჯერ ისევ ბინდბუნდისას
მოქანცული, ძალ-მიხდილი;
ადგა, გარეთ გამოვიდა
და აქ კი, ფერ-გაცრეცილმა
თვალი მოჰკრა ცისკრის კრთოლვას
ღიმი ჰფინა მის სიცილმა!

***

გიშრის შავ-თმას ნორჩ გულ-მკერდზე
უვარცხნიდა მთის ნიავი;
ვით ის დილა განთიადის
იყო ტურფა სანახავი!

***

გაზაფხულის სული ეცა
ერის წყლულზე შობილ მგოსანს;
გულ-სიამით მიესალმა
მახარობელ პირველ ფრთოსანს!
შვების სიომ საალერსოთ
ქროლვა უწყო მჭმუნვარ შუბლზე;
გაშლილ ის მოსაკრეფათ
ველ-მინდვრისკენ იწვევდა მზე!

***

მასა სურდა!—შრომით ტყვეთ ქმნილს
გადეყარა სევდა, დარდი
და ოცნებით, ლაჟვარდ ცის ქვეშ,
ეწყო ლტოლვა, შორს ხვარდი!
სურდა თავი დაეხწია
მწარ კაეშანს, ფიქრთა ღვნას
და ის იყო ეძლეოდა
ნეტარება, აღმაფრენას!
მაგრამ ამ დროს ყური მოჰკრა
სულის ალმშფოთ ქარხნის საყვირს;
და... გაჰყვა ჯარს, მუშათა ჯარს,
მათთან რჩეობს ლხინსა და ჭირს!..

**გ. ქუჩიშვილი.**

# გამარჯვება

—:—

მზე ჩაესვენა. არე მიდამოს
მწუხრის ბინდ-ბუნდი გადაეფარა,
გულ-ღვიძლის მღრღნელი შხამ-კბილა გველი
საზარ სისინით შემომეპარა.
ზვიადმა ბნელმა უდროოთ გათიშა
ნაზი ოცნების ტურფა წალკოტი,
წმინდათა წმინდა გმირთ აკლდამებზე
ჩხავილსა მოჰყვა საზარი ქოთი.

***

მაგრამ კვლავ ღამეს ეცვალა ფერი
მზის სხივი ცაზე ათინათინდა,
ბნელეთის მეფეს თვალთ დაუბნელდა
და სამუდამოთ ხმა ჩაიკმინდა.
იმედის ბალმა დაიყვავილა
სიცოცხლის ძალა ანაკადულდა,
ნაღველის ქსელში მცურავი ჩანგი
კვლავ ბრძოლის ხმებით აჟღერ-აჟღერდა.

**დ. თურდოსპირელი.**

# ახალი ამბები

—

**◆ ი. ჭავჭავაძის ძეგლი.** მექანდაკე ი. ნიკოლაძეს ი. ჭავჭავაძის ძეგლი პარიზში უკვე დაუმთავრებია.

**◆ საინტერესო განცხადება.** თფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიაში, სამსახურ თავდანებებულ მოხელეს ივანოვს განცხადება შეუტანია: ივანოვი უჩივის თფილისის მეყასბეებს, რომელნიც ხალხს ტყავს აძრობენ, ზედ-მეტ ფასებში ხორცს ყიდიან და სხვა. მოხელე ივანოვი ქალაქის გამგეობას ამ საქმეში უმოქმედობას აბრალებს და თავის მხრივ შემდეგ ზომებს იძლევა ამუსამართლობის აღმოსაფხვრელათ: ქალაქის გამგეობამ უნდა მოიწვიოს სამსახურში ნამყოფი ყველა მოხელეები და თითეულათ მიანდოს მათ მეყასბეთათვის თვალყურის დევნება სამი საათის ვადაში—დილის 7—10 ს. ივანოვის აზრით თფილისში საკმაოთ მოიპოებიან ამგვარი მოხელენი, რომელნიც სიამოვნებით მიიღებენ თავის თავზე ამგვარ სამსახურს უფასოთ; სულ ერთია—ისინი მაინც უსაქმოთ დადიან და ამ გვარი სამსახური მათთვის გასართობ საშუალებათ ჩაითვლებაო. ივანოვის წინადადება პოლიცმეისტერმა ქალაქის გამგეობას გადასცა.

**◆ დაჭრა.** 23 მარტს, დილის 11 საათზე, სპარსეთის ქვეშევრდომმა იუსუბმა ჩხუბის დროს დანით სასიკვდილოთ დაჭრა თავისი ცოლი შუშანიკა. ჭრილობის მიზეზი—რომანტიული ნიადაგია დამნაშავე შეიპყრეს.

**◆ პატივის აღმდგენი სასამართლოს** სხდომა მოხდება დღეს. წამოყენებულია 11 კითხვა, რომელზედაც ბრალდებულებმა პასუხი უნდა გასცენ.

**◆ სახაზინო თეატრი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, სახაზინო თეატრში ნ. ი. აბრამოვიჩი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: «ადამიანი მომავალში».

**◆ ლექცია.** ხვალ, 26 მარტს, საღამოს 8 საათზე სახაზინო თეატრი ნ. ი. აბრამოვიჩი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „რელიგია მშვენიერებისა და ტანჯვისა“.

**◆ სწავლას ემალებიან.** თფილისის მოქალაქემ ვ. დ. ბეთაშვილმა პოლიციას განუცხადა, რომ 20 მარტს, დილის 8 საათზე, ჩემი შვილი გიორგი, 17 წლისა—გიმნაზიის მოსწავლე თავისა მხანაგ ნ. გ. კანდუროვთან ერთათ გაკვეთილების მოსამზადებლათ წავიდა და სახლში არ დაბრუნებულაო. ბეთაშვილი და კანდუროვი 23 მარტს პოლიციამ შეიპყრო, რომელთაც განაცხადეს, რომ საზღვარგარეთ წასვლას ვაპირებდითო.

**◆ ხუმრობა ეგონა.** 23 მარტს თფილისის მოქალაქემ მ. ზ. ტალეშვილმა, ბოზარჟიანცის ქარხნის მუშამ, პოლიციას განუცხადა, რომ ორი კვირის წინათ ოლგის ქუჩაზე მას თავს დაესხენ თფილისის მცხოვრებნი ნ. ა. კუქვაძე და ი. ი. ჩიხლაძე—პალტო გახადეს და წაიღეს. ტალეშვილმა-ეს პირველათ ხუმრობათ მიიღო, მაგრამ გაიგო, რომ მისი პალტო მათ მედუქნე ე. ი. ადუაშვილისათვის მიეყიდნათ. პოლიციამ ჩიხლაძე შეიპყრო, კუქვაძე მიიმალა. პალტო პატრონს ჩააბარეს.

**◆ მექარხნეთა შუამდგომლობა.** თფილისის რამდენიმე მექარხნე ამათ რიცხვში ა. ა. ენფიანჯიანციც ქალაქის გამგეობას თხოვენ, რათა ქალაქმა არამიანცის სახელობის საავათმყოფოში ავათმყოფ მუშებისთვის ადგილი დაუთმოს, რისთვისაც თითო ლოგინის საფასოთ 300 მ. გადაიხდიან წლიურათ. ქალაქმა უარყო მათი შუამდგომლობა, რადგან თითო ავათმყოფის შენახვა წლიურათ 750 მანეთი ჯდებაო. ქალაქი თავის მხრივ წინადადებას ძლევს მექარხნეებს თავის ხარჯზე მუშებისათვის საავათმყოფო ააგონ, რისთვის ქალაქი მიწის უფასოთ დათმობას პირდება.

**◆ მცხოვრებთა ჯანმრთელობა.** პარასკევს, 26 მარტს, შესდგება ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობის თვალ-ყურის მდევნელ კომისიის წევრთა კრება, რომელიც განიხილავს საკითხს სიფილისით ავათმყოფთათვის საკუთარი შენობის აგების შესახებ.

**◆ თფილისის კერძო ელექტრონის სადგურის** პატრონთ თხოვნით მიუმართავთ ქალაქის გამგეობისათვის, რათა ქალაქის ელექტრონის სადგურის აგების დროს მხედველობაში იქონიონ ქალაქის ის რაიონები, რომელნიც ამ კერძო სადგურებიდან სარგებლობენ ელექტრონის ძალით, კერძო სადგურების მეპატრონენი ამბობენ—ქალაქის ელექტრონის სადგური კონკურენციას ნუ [illegible] იძულებული ვიქნებით სადგურები დავხუროთ.

**◆ ბუნების მოყვარეთა საზოგადოების** წევრთა კრება შესდგება დღეს. კრება აირჩევს პედაგოგიურ სექციას ბუნების მეტყველთა და ექიმთა მე-XIII სიეზდზე დასასწრებათ თფილისში.

**◆ ელექტრონის სადგური.** პროფესორ არტემიევისაგან ქალაქის გამგეობამ თფილისის ელექტრონის სადგურის გეგმა უკვე მიიღო.

**◆ რკინის გზების რევიზია.** 20 მარტიდან დაიწყება კავკასიის რკინის გზის რევიზია. რევიზორათ დანიშნულია სახაზინო რკინის გზების უფროსი დ. პ. კოზირევი.

**◆ სამკითხველო.** დაბა აბაშაში (სენ. მაზრ). გაიხსნა ბიბლიოთეკა-სამკითხველო ქ. შ. წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების სახელობაზე. სამზრუნველოში არჩეულ იქნა: ბაბილინა იოსელიანისა, ვასილ ქობულია და ისაკი ქვანია. 25 მარტს იდღესასწაულებენ ბიბლიოთეკის დაარსებას.

**◆ რედაქტორის დაპატიმრება.** 23 მარტს დააპატიმრეს გაზ. „ჰომავლის“ ყოფილი რედაქტორი. მას ბრალს სდებენ სისხლის სამართლის დებ. 129 მუხ. ძალით.

**◆ სალდათის შეპყრობა.** 22 მარტს პოლიციამ შეიპყრო სალდათი მიხაილ მიშჩენკო, რომელიც სალდათობას ემალებოდა.

**◆ ჯარიმა.** პოლიციის ბრძანების აუსრულებლობისათვის თფილისის გუბერნატორის მიერ დაჯარიმებულნი არიან თფილისის მცხოვრებნი გ. მირუმოვი და ალ. ძეგველოვი თითო 15 მანეთით.

**◆ უგზო-უკვლოთ დაკარგული.** პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა ბოქაულებმა ზომები მიიღონ 15 წლის ყმაწვილის მ. ტარტანდიანცის მოსაძებნათ, რომელიც 18 მარტს ბინიდან გამოსულა და ჯერ შინ არ დაბრუნებულა.

# პატარა ფელეტონი

**გუბერნატორი.**

(ლ. ლ'დურისა.)

...ის თავის მეგობართან ერთად მდიდრულ რესტორანში იჯდა. ახალგაზრდა მეგობარი პეტერბურგელი აღმატებულება იყო და გულში მინისტრობა ჰქონდა.

პეტერბურგელი აღმატებულება, როგორც იტყვიან, მაღლიდან უცქეროდა პროვინციელ აღმატებულებას და ელაპარაკებოდა ნახევრათ მასხრული, ასათვალწუნებელი კილოთი.

პროვინციელი აღმატებულება უამბობდა:

ჩვენ მივიღეთ ახალი ცირკულიარი...

## დეპ. ვეგეჭკორის სიტყვა

**ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.**

(სტენოგრაფიული ანგარიშებიდან)

(დასასრული).

საზოგადოებისათვის ტიმირიაზევის და ტიმაშევის სახლები უბრალო ბგერაა, ბბ. კაპიტალებისათვის კი, რომელთაც მთელი თავიანთი მოღვაწეობის ცენტრათ გაუხდიათ ნევსკი 100, ეს სახელები ბევრს რამეს ამბობენ. რუსეთის მცხოვრებთა ფართო წრეებსა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს შორის არ არსებობს არავითარი კავშირი, ამას მე გადაჭრით ვაცხადებ. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსა და მრეწველთა სიეზდის საბჭოს შორის კი მჭიდრო კავშირი არსებობს. ვის აცილებენ ღრმა მწუხარებით და ვის ეგებებიან აღტაცებული სიხარულით ნევსკი 100-ს წარმომადგენელნი? გადამდგარ და დამდგარ მინისტრებს. ვის ეკუთვნის, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვები: „ბ. ი. ტიმირიაზევის თანამდებობიდან გადადგომამ ვაჭარ-მრეწველთა შორის ღრმა მწუხარება გამოიწვია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გადამდგარ მინისტრს საშუალებას მაინც მისცემენ მონაწილეობა მიიღოს თავის მოადგილეს დანიშვნაში“? ეს სიტყვები მოთავსებულია თანამედროვე ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ორგანოში, რომელსაც (სამინ.) სახელათ მრეწველთა სიეზდის საბჭო ეწოდება. ამ სიტყვების საპასუხოთ ახლათ დანიშნულმა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა, ტიმაშევმა მრეწველთა მე-4 სიეზდზე განაცხადა: „ბბ. ჩვენ ძველი ნაცნობები ვართ“. ოფიციალურ და ფაქტიურ სამინისტროებს შორის მუდმივი აზრთა გაცვლა-გამოცვლა არსებობს და შეგვიძლია დაბეჯითებით ვსთქვათ, რომ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო არც ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს ისე არ გადადგამს, რომ წინასწარ მრეწველთა სიეზდის საბჭოს აზრი არ შეიტყოს. რომ ამ კავშირს ნამდვილი საჭიროება მოითხოვდეს, რომ მთავრობას ან მრეწველების წარმომადგენლებს შეეძლოთ გვითხრან ჩვენ, რომ ამ ორგანიული კავშირის წყალობით წინ ვერეკებით საწარმოო ძალთა განვითარებას და ეკონომიური ცხოვრების წარმატებასაო, მაშინ კიდევ შესაძლებელი იყო ამ კავშირს შებრალებით მოვპყრობოდით; მე კიდევ მეტს ვიტყვი,—ჩვენთვის, სოციალდემოკრატებისათვის ეს გასაგები იქნებოდა, მაგრამ სინამდვილე სულ წინააღმდეგს გვეუბნება. მართლაც, ამ შეკავშირებული ცხოვრების წყალობით მდიდრდებმა მწარმოებელთა მცირე ჯგუფი. სრულიად რუსეთის განადგურების პოლიტიკა—აი, რა მიმართულება მიიღო ამ ორ შეერთებულ სამინისტროს მოღვაწეობამ. თუ საჭიროა დასამტკიცებელი საბუთები იმისათვის, რომ რუსეთის სამრეწველო ბურჟუაზიას არ შეუძლია თვითმოქმედება, თუ საჭიროა საბუთები იმის დასამტკიცებლათ, რომ რუსეთის ბურჟუაზიას არ შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას განა ყველაზე აშკარათ დამამტკიცებელი არ არის ის ფაქტი, რომლის შესახებაც ყურებს გვიჭედავენ გაზეთები (მარჯვნიდან: ჟიდების), რუსეთის საზღვარგარეთელ კაპიტალის მიერ დაპყრობა? (მარჯვნიდან: ებრაელების მიერ!) მე, სხვათა შორის, აქ რამდენიმე კითხვას დავსვამ იმის დასამტკიცებლათ რაც მე ვთქვი. მიპასუხოს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა: ვის ხელშია მთელი დონის ოლქის მრეწველობა, ვის ეკუთვნის ამ ჟამათ ურალის უდიდესი ნაწილი; ვინ შეისყიდა საუკეთესო ოქროს ქიშრობა (разсыпь) ციმბირში, ვინ განაგებს განათების და ტრამვაის საქმეებს და სხ..? ნავთი, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლების შესახებ დღეს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა განაცხადა, რომ მას აზრათ აქვს გადასახადი დაადოს ამ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ალბათ იმიტომ, რომ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარება ასწრის და მცხოვრებლებს ყიდვის სახსარი შემატოს (მარცხნით სიცილი. მარჯვნიდან: ბრავო!) ამ კითხვებს მე ვუსვამ ბ. ბ. ნაციონალისტებსაც, რომელნიც ამ ტრიბუნიდან ამდენს ყვირიან სამშობლო სიყვარულზე და ნაციონალურ სიამაყეზე (ხმები მარჯვნიდან: სიტყვის ამ ნაწილში გეთანხმებით.) ჩვენთვის არსებითათ სულ ერთია, რომელი კაპიტალიც გაყვლეფავს მუშას და უკანასკნელ წვეთს გამოსწოვს მას, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გულ-გრილათ ვუცქიროთ იმ მორალურ და ნივთიერ დახმარებას, რომელსაც ჩვენი რეაქციონური მთავრობა ევროპის პლუტოკრატიისაგან იღებს. ახლა განვიხილოთ რა გააკეთა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მუშათა კითხვის ფარგლებში. დღეს, სხვათა შორის, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ამ საკითხს „ეგრეთ წოდებული“ მუშათა საკითხი უწოდა. რატომ „ეგრეთ წოდებული“, და არა უბრალოთ მუშათა საკითხი, ეს მე არ ვიცი. მე მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს შევჩერდე ამ საკითხზე, რადგან ჩვენ არა ერთხელ მოგვისმენია ამ ტრიბუნიდან კაპიტალისა და მთავრობის წარმომადგენლების სიტყვები,—რომელნიც აცხადებდენ, რომ ისინი გულწრფელი დამცველები და უანგარო მეგობრები არიან მუშათა კლასისა. მე თქვენ მოგიყვანთ რამდენიმე ფაქტს, რომელიც აშკარათ დაგანახვებსთ, თუ რამდენათ გულწრფელია ამ ვაჟბატონების დამოკიდებულება მუშათა კლასისადმი, რომლის ბეჭებზედაც დაფუძნებულია მთელი რუსეთის მრეწველობა. მუშათა კანონმდებლობა, ბ. ბ., ორ ხანათ იყოფა: პირველი, როდესაც გაძლიერებულ მუშათა მოძრაობის შიშით მთავრობა დათმობის გზას დაადგა და, მერე,—როდესაც გამარჯვებული რეაქცია არა თუ არ აუმჯობესებდა მუშათა კანონმდებლობას, არამედ—ყოველ ღონისძიებით აუქმებდა და სპობდა იმ უფლებებსაც, რომელიც მუშათა კლასმა მუდმივი და სისტემატიური ბრძოლით შეიძინა. რევოლიუციონური მოძრაობის ქარტეხილის დროს ინიშნება მთელი რიგი კომისიებისა: ტიმირიაზევის, შიდლოვსკის, კოკოვცევის, ამზადებენ მთელ რიგ კანონ-პროექტებისას შრომის დაცვის შესახებ. საკმარისია თვალი გადაავლოთ მთავრობის რევოლიუციას მუშათა კანონმდებლობის საქმეში, რომ ადვილათ დარწმუნდეთ იმაში, თუ რა მიზეზები იწვევდენ მთავრობის ასეთ აჩქარებულ მოქმედებას და ვისი დიქტატურის მეოხებით დაიწყო ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ თავისივე საკუთარი პროექტების შეცვლა. ავიღოთ, თუნდა, პროექტი მუშათა დაზღვევის შესახებ, რომელზედაც დღეს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი გველაპარაკებოდა. ფედოროვის პროექტში, რომელიც 1906 წ. გაზაფხულზე შედგენილი, თავდაპირველათ დაზღვევა ვრცელდებოდა ყველა წარმოებაზე, სადაც მანქანები მუშაობდენ, მიუხედავათ მუშათა რაოდენობისა. ახალი პროექტის მიხედვით-კი, რომელიც 1908 წ. წარმოადგინეს სახ. დუმაში, დაზღვევა არ ვრცელდება ისეთ საწარმოო დაწესებულებებზე, სადაც 20 მუშაზე ნაკლები მუშაობს. ამ რიგათ, დაზღვევის ფარგლებს გარეშე რჩება თითქმის მეოთხედი მილიონი მუშების საერთო რიცხვისა. გარდა ამისა, ფედოროვის პროექტის თანახმათ პენსიის რაოდენობა განისაზღვრებოდა საშვალო დღიური ხელფასით, რომელიც უნდა გაემრავლებიათ 280-ზე. შაროვის პროექტის თანახმათ-კი, (1908 წ.) საშვალო დღიური ხელფასი უნდა გამრავლდეს 260-ზე. უბედურ შემთხვევების დროს

ჭეშმარიტათ გეტყვი თქვენ, რომ, როცა წავიკითხე —ისე შემრცხვა, ისე გავწითლდი, როგორც... როგორც... ზღვის კიბო.

— რისთვის ისე არა, როგორც მდინარის კიბო?—გაიცინა პეტერბურგელმა ალმატებულებამ.

პროვინციელი ალმატებულება შესწუხდა, გაწითლდა.

— იცით რა მოგახსენოთ? რაღაც უხერხულია. ყოველ კაცზე ამბობენ ხოლმე: „გაწითლდა როგორც კიბოო“ (იგულისხმება მდინარის კიბო), მე ხომ ეს „ყოველი“ არა ვარ. ვფიქრობ, ნამდვილ სტატსკი სოვეტნიკებზე უფრო დიპლომატიური იქნება ვთქვათ: „გაწითლდა როგორც ზღვის კიბოვო“. თავის დროზე ამის შესაფერი სავალდებულო დადგენილებაც კი გამოვეცი.

— მაშ, განაგრძეთ.

პროვინციელი ალმატებულება განაგრძობდა:

— წავიკითხე ცირკულიარი და ვიფიქრე: „ღმერთო ჩემო, რა უმნიშვნელო რამეებით ვიყავით თურმე გართულნი. მე მაშინვე მოვიგონე ჩემ მიერ გამოცემული „სავალდებულო დადგენილებანი“ და ვერ წარმოიდგენ როგორ შემრცხვა“.

— წერა თქვენ გიყვარდათ, გეხერხებოდათ?

— ოღონდაც! წერის ფორმა სწორეთ „დრაგომიროვისა“ მქონდა. ასე მეუბნებოდენ ხელ-ქვეითნი და მათ შორის, ხომ იცით, ზოგჯერ არა მლიქვნელნიც მოიპოვებიან. მისვლისთანავე, პირველსავე კვირაში გამოვაცხვე ერთი „სავალდებულო დადგენილება“, რითაც სავალდებულოთ გავუხადე მეეტლეებს დაუთოებული პერანგის ჩაცმა ორმაგი გაკრახმალებული საყელოთი...

პეტერბურგელი ალმატებულება სიცილით კინაღამ მოკვდა.

— თქვენ გეცინებათ,—იწყინა პროვინციელმა ღენერალმა;—აქ სასაცილო არა არის რა. დროა კარი გავუღოთ ევროპას, მის კულტურას მეეტლეთა ეზოდანაც. და აი, მეც დავიწყე საცვლებიდან, რომ შემდეგ თანდათანობით შევაჩვიოთ ჩვენი მეეტლენი ფრაკებისა და ცილინდრების ტარებას. აბა, რა არის აქ სასაცილო?!.

— მე არ ვიცინი. მაშ, დაგმორჩილდენ?..

ღენერალმა ამოიოხვრა:

— დამმორჩილდენ... მარა რა დამიჯდა იცით?.. საჭირო დარჩა ინგუშების გამოწერა... პოლიციელთ ხელები დაუსივდათ... შემდეგ ამისა ხეებს მივყავ ხელი.

— ეს როგორღა იყო?

— ვხედავ, ქალაქის შუაგულ ქუჩებში ხეები იზრდება და არავითარ მთავრობას არ სცნობენ. მეც, დაუყოვნებლივ, ავდეგ და შემდეგი ცირკულიარი დავწერე: „ჩვენს ქალაქში ხეები იზრდებიან; მათი წვეროები თავისუფლად მიისწრაფიან ცისკენ. ხალხისაგან გამიგონია, რომ ხე მაშინ უფრო თავისუფლად იზრდება, თუ ძირში გარშემო ქვაფენილი შემოაცლი და პატარა, რგვალ ორმოს დაუტოვებ, რომელზედაც უნდა მოეწყოთ პატარა, სუფთა ქვები. ამიტომ წინადადებას ვაძლევ სახლის პატრონთ გარე მოიქცენ“.

— რა ჰქნეს, გააკეთეს?

— რა თქმა უნდა! მარა რამდენი კაცი დაჯარიმება, დაპატიმრება და ასე წარმოიდგინეთ, ქალაქიდან გაძევებაც კი დარჩა საჭირო..

— აბა, კიდევ რა „დადგენეთ“?

პროვინციელმა ღენერალმა თითი მიიდო შუბლზე.

— როგორ შეგიძლია ახლა ყველა მოიგონო! ბევრი სავალდებულო დადგენილება დამიწერია: ნოხ-ფარდაგების გაბერტყვაზე, ქალთა შლიაპებზე, თეატრებში ტაშის დაკვრაზე.. უცბათ ახალი ცირკულიარი... თურმე ცუდა ათი წელიწადია ვაკეთებთ იმას, რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ. წავიკითხე რა ახალი ცირკულიარი, თავისთავს ვეუბნე: „აბა, თქვენო ალმატებულებავ, უნდა შეგწვდეს სიმამაცე, რომ გამოტყდე თავის შეცდომებში და გაასწორო ისინი.“

— აბა, როგორ მოიქეცით?!..

— მე წამსვე შევთხზე ახალი სავალდებულო დადგენილება,“ სადაც ვწერდი: «ვინაიდან ჩვენ ოცდაათი წლის განმავლობაში ვსცდებოდით და კანონთა უკანონობას ვლიარებდით,—წინადადებას ვაძლევ მეეტლეებს ნუღარ ატარებენ გაკრახმალებულ პერანგებს“.

— ეჰვ რაა, მეეტლეებს გაეხარდებოდათ!

— სადაური გახარება!.. „ბუნტი“ მოახდინეს—ამბობდნენ, უკვე შევეჩვიეთ, ეხლა ღარ შევეძლია გადავეჩვიოთ.. ფრანგების გვრცხვენია. მომიხდა ხელ ახლა ინგუშების გამოწერა... შემდეგ ბრძანება გავეც ქვა-ფენილზე ხეების გარშემო პატარა ორმოები ისევ ამოევსოთ:

— მშვიდობიანათ დამთავრდა ყველა ეს?

— რის მშვიდობიანათ?! პოლიციის ყველა სამმართველოებმა მთელი თვის განმავლობაში ურჩი ხალხი იყო სავსე დაბოლოს, როგორც იქნა ხის ძირები ამოავსებინე, მარა „ნოხ-ფარდაგთა ბუნტი“ დაიწყო... და აი, სწორეთ ამისთვის გამომიწვიეს პეტერბურგში.

— გიბრძანეს სამსახურს დაანებეთ თავიო? ..

— რათა?! დატუქსვით თუმცა დამტუქსეს, მარა როცა სამსახურიდან გასვლაზე ჩამოვაგდე სიტყვა, ღიმილით მიპასუხეს: „ამაოდ! თქვენ მაინც ერთი საუკეთესო ღენერალთაგანი ხართ პროვინციის ღენერლებში, ისეთებიც მოიპოვებიან, რომლებთან შედარებით თქვენ გენიოსათ ჩაითვლებით“-ო.

— დიდებულია! მაშ, ყველა მაების თვის თქვენ კი არ დაგტუქსეს, არამედ, —მოგიწონეს—სთქვა პეტერბურგელმა ალმატებულებამ.

პროვინციელმა ღენერალმა ამოიოხრა:

— მოწონებით თუმცა მომიწონეს ყველა ეს —მშვიდათ მიუგო მან,—მარა მაინც არა სთქვეს—თუ სად უნდა გაიბერტყოს ნოხ-ფარდაგი... დიპლომატიურათ იქცევიან... არ ამბობენ-და...

პეტერბურგელმა ალმატებულებამ კი მოწყალებიანათ გაიღიმა.

## რუსეთის ცხოვრება

### გაერთიანებული თავად-აზნაურობა *)

17 მარტს საღამოს სხდომაზე „გაერთიანებულთა“ სიეზდი შეეხო ფინლიანდიის საკითხს. მომხსენებელი იყო ფინლიანდიის საქმეების გამო მთავრობის მიერ შემდგარი კომისიის წევრი კოროვე. მან აღნიშნა, რომ ცალკე სახელმწიფოთ გამოყოფა ფინლიანდიელებს სრულებითაც არ სურთ, ამას მოითხოვენ მხოლოდ შვედები. შემდეგ ის ჩამოთვლის ყველა იმ „სიკეთეს“, რაც რუსეთმა ფინლიანდიის უყო და მწუხარებას გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს კრონ-კაზაკით არ დახმარებია ფინლიანდია რუსეთს. ბიდრეტელმა თავადმა შჩერბატოვმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ შევიწროებენ განიცდიან ვიბორგის გუბერნიაში მცხოვრები რუსი მიწათ-მფლობელნი, როგორ სჭირდება მათთვის სკოლის შოვნა და სხ. ამ მიზნით პეტერბურგის საკრედიტო საზოგადოებამ თავისი განყოფილების გახსნა განიზრახა ვიბორგის გუბერნიაში და როცა შუამდგომლობა ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროს წარუდგინა საკრედიტო კანცელიარიამ, მინისტრმა განმარტა, რომ გუბერნია და ოლქი გულისხმობს განსაზღვრულ ტერიტორიალურ ერთეულს, ასეთს კი ფინლიანდიის სამთავრო რომელიმე ნაწილი არ შეადგენს. (ხმები: აბა, მოისმინეთ, მოისმინეთ!) 1906 წ. გამოცემული კანონი კი გადაჭრით ამბობს, რომ დიდი სამთავრო ფინლიანდია შეადგენს განუყოფელ ნაწილს რუსეთის იმპერიისას, მხოლოდ შინაურ საქმეებს თითონ განაგებს საკუთარი კანონების მიხედვით. აქედან მინისტრის აზრით ვიბორგის გუბერნია არ შეადგენს ისეთ ტერიტორიას, რომელზედაც მას შეეძლება ქონდეს საკრედიტო მართვა-გამგეობის წესები გაავრცელოს (ხმები: არაა ეს მართალი). მომხსენებელმა წაიკითხა ის დოკუმენტი, რომლითაც სამინისტრომ უარყო შუამდგომლობა. დოკუმენტის კითხვის დროს კუშელევმა წამოიძახა: „აუცილებლათ საჭიროა გავიგოთ რამდენი „ინოროდეცია“ საკრედიტო კანცელარიაში“. შემდეგ ვრცელ სიტყვას ამბობს პროფესორი კუპლევასკი. ის ხაზ-გასმით აღნიშნავს, რომ იმპერატორი ალექსანდრე პირველი თუმცა იხსენიებს კონსტიტუციას, მარა მას ის არ სწამდა და არც შეიძლება იმის მომხრე ყოფილიყო. კოვალკო ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორი უუფლო ფინლიანდიაში მცხოვრები რუსი, როგორ ეპყრობიან მათ ფინლიანდიელნი ... ვიბორგის გუბერნიას და შეუერთდეს რუსეთს ... მოსაზრების აზრით არ შეიძლება ... სასამართლოს გამოტანილი განაჩენის ... ყოველ ... მთავრობა ... ცდილობს ... თავის ... უფლებას ... ამ გზაზე ... ძალას. ჩვენი უბედურება იმაში კი ა[illegible], რომ განაპირა ქვეყნები სეპარატისტული მისწრაფებებით არიან გამსჭვალულნი, არამედ—მთავრობის უმოქმედობაა ჩვენი უბედურება (ტაშის ცემა). ბიუროკრატიას სწამებს კადეტობას, მარა ვერ წარმოიდგენია, რა შუაშია აქ კადეტიზმი, როცა ჩვენი მთავრობა სულ „ინოროდცებისაგან“ შესდგება. თავის სიტყვას შემდეგი მოთხოვნილებებით ამთავრებს ის, რომელიც მიმართულია რუსეთის მთავრობისადმი: „მთავრობამ აუცილებლათ უნდა გაათვითცნობიეროს ფინლიანდია და უნდა მოაგონოს, რომ მათ დამოუკიდებლათ მართვა-გამგეობის უფლება ეძლევათ რუსეთში არსებულ ერთობის საფუძველზე იმ დრომდე, სანამ ისინი რუსეთს ემორჩილებიან როგორც რიგი და წესია; აუცილებლათ უნდა შემოუერთოს მთავრობამ ვიბორგის გუბერნია პეტერბურგისას; ფინლიანდიაში მცხოვრებ რუსთ უნდა მიენიჭოთ ისეთივე უფლებები, როგორითაც მკვიდრნი სარგებლობენ; და ფინლიანდიამ უეჭველად სახელმწიფო ხარჯებში უნდა მიიღოს მონაწილეობა,—როგორიცაა სამხედრო ხარჯები, სასახლის შესანახი და სხ. მთავრობის კომისიის მეორე წევრი დეიტრიხი უარყოფს ყოველივე საბუთებს, რომლითაც ითქმის ფინლიანდიის დამოუკიდებლობა ჰქონდეს მინიჭებული. ის ამბობს: „ჩვენთან საბუთათ არ გამოდგება ფინლიანდიელებს არც სეიმისუის მიერ დაწერილი პროექტები, არც იმპერატორ ალექსანდრე პირველის სიტყვები, ვინაიდან,—ღმერთმა იცის, რა სახსრებს მაშინ საბუთებში ალექსანდრე პირველის სიტყვები, ჩვენ გვწამს მხოლოდ მისი იმპერატორობითის ნება (მქუხარე ტაში). სახელმწიფო საბჭოს წევრი ნეიდგარდი შემდეგი სიტყვებით მიმართავს მთავრობის კომისიაში მონაწილეთ: „,დიდებო და ბატონო, თქვენ, რუსეთის საუკეთესო მოღვაწენო; რუსეთის ისტორია არ დაივიწყებს კოროვესა და დეიტრიხის სახელს. რუსეთის თავად-აზნაურობა თქვენ დაგიჭერთ მხარს ამ საკითხში“. ამის შემდეგ ის მოკრძალებით თავს უკრავს მათ, თავად-აზნაურნი ზეზე დგებიან და ტაშს უკრავენ. სახელმწიფო საბჭოს წევრი ისეევი გადაჭრით მოითხოვს დაისვას კითხვა ვიბორგის გუბერნიის ჩამორთმევის შესახებ. წინადადებას ერთხმათ დებულობენ. თავადი უხტომსკი ცდილობს რამოდენიმეთ მაინც შეამსუბუქოს ის შთაბეჭდილება, რომელიც გრაბამ წინა ორატორების ნალაპარაკევიდან მიიღო,—ლაპარაკობს ცოტა რამეს ფინლიანდიის სასარგებლოთ, მარა არ უსმენენ: ხმაურობენ. ხმაურობა იმდენათ ძლიერდება, რომ უხტომსკი იძულებულია დაჩუმდეს. ამ დროს [illegible] ... უკორიძელი ორატორი ... მას საუბრით მიაჩნია, რომ მათ (გ. ი. სიეზდის) ნალაპარაკევიდან ... ფინლიანდიელებმა, ... ქტი მოიყვანოს მათ ... ... რგათ შეიგნონ მათ—თუ ვინ, ან რანი არიან, ... როგორც იტყვიან, ფინლიანდიაში ... დიდი სამხედრო გასეირნება, ჯარების ... ა ...ვნა. (ტაშისცემა).

შემდეგ სხდომაზე ორატორებმა სასტიკათ გაილაშქრეს საგლეხო ბანკის მოქმედების წინააღმდეგ. სიეზდმა მიანდო საბჭოს შეუკრიბოს დაწვრილებითი ცნობები საგლეხო ბანკის მოქმედების შესახებ. სარატოველმა დეპუტატმა რუკინმა სიეზდის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საჭიროა ზომები იქნას მიღებული და საგლეხო ბანკს ჩამოერთვას ის ფულები, რომელიც მან მტაცებლურათ მიითვისა ჩვენგან რევოლიუციის დროს. მისი სიტყვით რევოლიუციის დროს საგლეხო ბანკი თურმე სარგებლობდა თავ.-აზნ. გზა-აბნეულობით და თითქმის სრულიად უფასოდ იგდებდა ხელში მათ მიწებს ბნელი ძალების ზე-გავლენით. რაც მაშინ დაკლდა მიწის ფასს თავად-აზნაურობის,—ის ეხლა უნდა მიიღოს. და თუ საგლეხო ბანკს ვერ გადავახდევინებთ, უნდა მაინც გავიგოთ დაკლებული თანხის რაოდენობა და შევადგინოთ თავად-აზნაურთა საქველმოქმედო ფონდი, საიდანაც დაზარალებული მემამულენი ფულს მიიღებენ. სიეზდმა მიანდო საბჭოს გამოიკვლიოს დანაკლისის რაოდენობა და შესაძლებელი იქნება თუ არა ხსენებულ თანხიდან საქველმოქმედო ფონდის შედგენა.

*) იხ. „ახალი სხივი“ № 40, 41.

# უკანასკნელი ფოსტა

## შორეულ აღმოსავლეთში.

**არეულობა ჯარებში.** შანხაიდან მიღებული ცნობებით „,დიდ არხზე“ აჯანყებულა ჩინელი ჯარის ორი ბატალიონი, რომელიც ევროპიულათ არის გაწვრთნილი. ნანკინიდან განსაკუთრებული რაზმი გაიგზავნა აჯანყებულთა დასაწყნარებლათ.

**მაჰმადიანების ბოიკოტი.** პენჯაბში (ინდოეთში) ძალიან გამწვავებულა ეროვნული შუღლი. ინდოელებს მაჰმადიანებისათვის ბოიკოტი გამოუცხადებიათ. ინდოელებს პირდაპირ განუცხადებიათ, რომ ისინი მანამდე არ ივაჭრებენ მუსულმანებთან, სანამ ისინი საერთო მოძრაობას არ შეუერთდებიან. ბოიკოტმა დიდი ზარალი მოაყენა მუსულმანებს.

## საზღვარ გარეთ

**პოლიციელების ბოიკოტი.** გერმანიის საზოგადოებას არას გზით არ სურს აპატიოს პოლიციელებს ის მხეცური საქციელი, რომელიც მათ ჩაიდინეს უკანასკნელი დემონსტრაციების დროს.

სოციალდემოკრატებმა პოლიციელების დასასჯელათ კილში ორიგინალური ბოიკოტი მოიგონეს „,შუტცმანების“

---

დაშავებული მუშების დაჯილდოება პირველი პროექტის თანახმათ უნდა ეკისრათ დამზღვევ ამხანაგობებს და მწარმოებლებს. 1908 წ. მრეწველების თანდასწრებით შემუშავებულ პროექტის მიხედვით-კი, პირველი ექვსი კვირის განმავლობაში „პოსობიე“ უნდა ეძლეოდეთ დაზარალებულ მუშებს საავათმყოფო კასებიდან, ე. ი. $^{3}/_{5}$—ისევ მუშებმა უნდა იხადონ; მრეწველების სიეზდთა საბჭოების დაბეჯითებითი მოთხოვნით დუმაში შეტანილი კანონპროექტიც შესცვალეს და ექვსი კვირის მაგიერათ საავათმყოფო კასებიდან დახმარება უნდა ეძლეოდეთ მუშებს 13 კვირის განმავლობაში. შემდეგ, როგორია წარმომადგენლობა თვით საავათმყოფო კასაში. პირველი პროექტი იცავდა პროპორციონალურ წარმომადგენლობას, უკანასკნელ ხანებში დუმაში შემოტანილი კანონ-პროექტის თანახმათ-კი მუშებს მხოლოდ ერთი წარმომადგენლის არჩევის უფლება აქვთ იმ დროს, როდესაც მუშების გადახდილი ფული უდრის კასის მთელი შემოსავლის $^{3}/_{5}$ დის. პირველი პროექტის მიხედვით აზრათ ქონდათ დაეწესებინათ დასაზღვევ სესხების გაცემა, უკანასკნელ პროექტში ესეც მოსპეს. ასეთივე ისტორია დაემართა სავაჭროებში მოსამსახურეთა კანონ-პროექტსაც და კიდევ მეტათ საგულისხმიერო ისტორია—პროექტს მუშათა დაქირავების შესახებ, რომელზედაც დღეს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ლაპარაკობდა. სიეზდის საბჭოს გვერდით საიდუმლოთ მოქმედობს სხვა ორგანიზაცია, რომელიც არასოდეს არ აქვეყნებს თავისი სხდომების ანგარიშებს, მაგრამ რომლის ხმას ყოველთვის მოწიწებით ისმენენ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროც და სიეზდის საბჭოც,—მე ვლაპარაკობ პეტერბურგის ფაბრიკანტების და მექარხნეების ორგანიზაციაზე. ჯერ კიდევ 1905 წელს წარადგინა ამ ორგანიზაციამ კოკოვცევის კომისიაში მოხსენება, რომელშიაც წინადადებას იძლეოდა: შეიცვალოს არსებული წესები დაქირავების დროს ხელშეკრულების შესახებ და მწარმოებლებს უფლება მიეცეთ ხელშეკრულება დაარღვიონ: „გაფიცვაში მონაწილეობის მიმღებ მუშებთან“—ეს ერთი მოთხოვნილება, რომელიც ფედოროვის კომისიაშიაც დააკმაყოფილეს; მეორე მოთხოვნილება: მუშებთან, რომელთაც გაფიცვაში მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ რომელთაც გაფიცვების გამო საშუალება ეკარგებათ იმუშაონ“—ფედოროვის თათბირმა გაზაფხულზე, 1906 წ. ამ შემთხვევის შესახებ დაადგინა: „ხელშეკრულების დაურღვევლათ, ერთი კვირის განმავლობაში მწარმოებელი მუშას არაფერს არ აძლევს იძულებით მოცდენილ დროში“. ეს დადგენილება დაამტკიცა ტიმირიაზევის კომისიამაც.

მესამე,—გთხოვთ ამას მეტი ყურადღება მიაქციოთ,—„,როდესაც ძალადობას ან მუქარას ადგილი ექნება, თუნდა ეს მუქარა კერძო მუშებიდანაც იყოს, მწარმოებელს უფლება აქვს დაარღვიოს ხელშეკრულება წარმოების ყველა მუშებთან“. ფედოროვის კომისიამ 1906 წ. გაზაფხულზე გადასწყვიტა: „,მწარმოებელს უფლება აქვს ასეთ შემთხვევებში მუშაობა შეაჩეროს მთელს წარმოებაში, ხელფასი არ მისცეს არც ერთ მუშას გაცდენილ დროს განმავლობაში, მხოლოდ ხელშეკრულება დაარღვიოს ისეთ პირებთან, რომელნიც აშკარათ მონაწილეობას იღებენ ძალადობაში“. (ხმა მარჯვნიდან: ეს სამართლიანია). ეს სამართლიანია? აი, ქვემოთ თქვენი შეხედულებითაც კი არ იქნება სამართლიანი, რადგან ეს იმას ეწინააღმდეგება, რასაც ქვემოთ მოისმენთ. ეს დადგენილება გადაკიდა ტიმირიაზევის პროექტში და კაპიტალისტ-მრეწველთა თათბირს წარედგინა 1909 წ. აპრილში განსახილველათ. ამ თათბირზე სიეზდის საბჭოს ზე-გავლენით მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: „,წარმოების ადმინისტრატიულ პირებზე ან მუშებზე, ან საქარხნო ქონებაზე ძალადობით ან მუქარით მიმართვის დროს მუშაობა შეიძლება შეჩერებულ იქნას; წარმოების პატრონს კი უფლება ეძლევა ხელფასი არ მისცეს მუშებს გაცდენილ დროს განმავლობაში. ამ შემთხვევებში,—ამ ადგილს მე ხაზს ვუსვამ,—ორივე მხარეს, ე. ი. კაპიტალისტებსაც და მუშებსაც უფლება ეძლევათ ხელშეკრულება დაარღვიონ“. ბბ. სახ. დუმის წევრნო, რადგან თქვენ ამტკიცებდით, რომ პირველი დებულება სამართლიანი იყო, ამიტომ მეორე დებულება, რომელიც ძირიანათ სცვლის პირველს, უბრალო ლოღიკის მიხედვითაც კი, რასაკვირველია, თუ კი თქვენ როდისმე მსჯელობთ ლოღიკურათ, სამართლიანი არ იქნება, და ეს უსამართლო მოქმედება ჩაიდინა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა კაპიტალის წარმომადგენლების პირდაპირი გავლენით.

მაგრამ ამით საქმე კიდევ არ გათავდა. ყველა კომისიების და თათბირის ნამუშევარი ბოლოს მაუდს ქვეშ ამოსდეს და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მწარმოებელ კაპიტალისტებთან ერთათ უფრო სწორი, მიზნის შესაფერი გზა აღმოაჩინეს—მიმართეს სენატს და „,კანონების დამცველმა“ სენატმაც განმარტა ყველა ეს დებულებანი კაპიტალისტების და მრეწველების სურვილების თანახმათ. ასეთია, ბბ., ფაქტები და მოღვაწეობა მუშათა კლასის ამ „,უანგარო დამცველებისა და მფარველებისა“. ამის შემდეგ მუშათა კლასს თამამათ შეუძლია სთქვას: „,ღმერთმა დაგვიხსნას ასეთი მეგობრებისაგან, და მტრებს ჩვენ თვითონ გავუმკლავდებით“. (მარცხნით ტაშის ცემა). ამ მოკლე დახასიათებიდან, სახ. დუმის წევრნო, თქვენ დაინახეთ, თუ რამდენათ მართალი ვიყავი მე, როდესაც შარშან ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ტიმირიაზევი მე დავახასიათე არა როგორც ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი, არამედ—როგორც კაპიტალისტებისა და ექსპლოატატორების მინისტრი. ეს დახასიათება სავსებით შეფერება ახლანდელ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს ტიმაშევსაც. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ამ სამინისტროს არ ძალუძს რუსეთი გამოიყვანოს სამრეწველო და ფინანსიური ტუპიკიდან, რომელშიაც ის ჩავარდა ჩვენი რეაქციონური მთავრობის მოღვაწეობის წყალობით. ჩვენ მასთან ერთათ უნდა ვაღიაროთ, რომ უნებო, უინიციატივო, ტრადიციას და გამოცდილებას მოკლებულ რუსეთის ბურჟუაზიას ორგანიულათ არ შეუძლია შეასრულოს ის დანიშნულებანი, რომელსაც მას წინ უყენებს ცხოვრების აუცილებელი პირობები და მისივე საკუთარი ინტერესებიც. ერთად ერთი იმედი რუსეთისათვის არის დემოკრატია და პროლეტარიატი. ვათავებ რა ჩემს მოკლე განმარტებას, მე უნდა დავსძინო, რომ პროლეტარიატმა მთელი თავისი ძალ-ღონე უნდა მოახმაროს პროფესიონალურ და პოლიტიკურ ორნიზაციების შედგენას და განმტკიცებას—(მარჯვნიდან: პოლიტიკურს რატომ?) დიახ, პროლეტარიატმა უნდა დაისახოს განსაზღვრული პოლიტიკური მიზანი იმისათვის, რომ შესძლოს ცხოვრებაში გაატაროს თავისი დანიშნულებანი და მოთხოვნილებანი,—აი, ამისთვის არის საჭირო პოლიტიკური ორგანიზაციები. ჩვენ გვწამს, რომ მხოლოდ შეკავშირებულ პროლეტარიატს და დემოკრატიას შეუძლიათ შეანგრიონ ის გაუვალი კედელი, რომელიც წინ უდგას რუსეთის ცხოვრებას, რადგან ამ კედლის იქით არის თავისუფლება და ისეთი პირობების შექმნის საშუალებანი, რომელნიც მუშებს და გლეხებს შეძლებას მისცემენ ადამიანური ცხოვრებისათვის... ტაშის ცემა).

დარწმუნებულია (პოლიციელების) წინა მოკლავდა . . ბში, სადაც პოლიციელები ბინას ქირაობენ, ყველა მცხოვრებნი ერბაშათ სტოვებენ ძველ ბინას და სხვაგან გადიან. დაშინებული სახლის პატრონები იძულებულნი ხდებიან პოლიციელებს ოთახები აღარ მიაქირაონ. რვა სახლიდან უკვე გააძევეს პოლიციელები სახლის პატრონებმა.

**„ფორვერტსის“ პროცესი.** გერმანელ სოციალ-დემოკრატების გაზეთ „ფორვერტსის“ პასუხის მგებელი რედაქტორი ბარტიუ მთავრობამ პასუხის გებაში მისცა მას აბრალებდენ დემონსტრანტებისადმი მთელი რიგი მოწოდებების დასტამბვას. სასამართლომ ბარტუს ერთი თვის სა საღო მიუსაჯა.

**ნოქრების მიტინგი.** ლივერპულში ნოქრებმა დიდი მიტინგი გამართეს, რომელსაც დაესწრენ ქალებიც და კაცებიც. ორატორები შეეხენ ნოქრების მდგომარეობას და აღნიშნეს ვაჭრების უსამართლო მოთხოვნილება, რომელნიც ნოქრებს იძულებულს ხდიან მათ ბინაზე იცხოვრონ, უვარგისი სასმელ-საჭმელი მიიღონ და სამაგიეროთ კი, ჯამაგირიდან საგრძნობელი ნაწილი დასტოვონ აღის დახლში. გარდა იმისა, რომ ბინა და საჭმელი არავითარ გიგიენურ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, ასეთი ვალდებულება ძალიან ცუდ გავლენას ახდენს ნოქრებზე და სრულებით უკარგავს მათ მოქმედების თავისუფლებას. მიტინგმა რეზოლიუცია მიიღო, რომელიც სასტიკათ გმობს ვაჭრების ასეთ უსამართლო მოთხოვნილებას და იმედს გამოსთქვამს, რომ მუშათა პარტიის დეპუტატები ყურადღებას მიაქცევენ იმ არა ნორმალურ პირობებს, რომელშიაც ნოქრები სცხოვრობენ.

### რუსეთი

**შეკითხვის უარყოფა.** შეკითხვის კომისიამ დუმაში წარადგინა მატიუტინის მიერ შედგენილი მოხსენება. კომისია უარყოფს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვას მუშათა წარმომადგენლების დატუსაღების შესახებ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ლოთობის წინააღმდეგ მოწვეულ სიეზდში.

**ემიგრაციის ხელის შეწყობა.** რუსეთის მთავრობას გადაუწყვეტია ხელი შეუწყოს რუსეთიდან ებრაელების გადასახლებას. „უტ. როს.“ სიტყვით, ებრაელ ემიგრანტებს მთავრობა სამგზავროთ შეღავათს აძლევს.

**ფინლიანდიის საკითხი.** ჰელსინგფორსიდან იტყობინებიან, რომ უმაღლესი მანიფესტი და კანონ-პროექტი განმარტებითი ბარათთან ერთად,—მათ გადაუთარგმნიათ და სეიმის დეპუტატებისათვის დაურიგებიათ.

არც ერთ ფრაქციის შესაძლებლათ არ მიაჩნია მიიღოს რუსეთის მთავრობის პროექტი, მაგრამ ყველანი თანახმა არიან, რომ პასუხი უნდა ექნეს მტკიცეთ დასაბუთებული.

**ებრაელების დევნა.** გაერთიანებულ აზნაურთა სიეზდის ერთ სხდომაზე ვინმე პანჩულიძევმა მოხსენება წაიკითხა ებრაელთა საკითხის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს პურიშკევიჩმა და მარკოვმა. ციმბირელმა დელეგატმა პაშკოვმა სიეზდს წინადადება მისცა, რომ ებრაელებს სრულებით აეკრძალოს ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და მათში თანამშრომლობასო.

**იარაღის დაჭერა.** სადგურ ბელოოსტროვზე დაიჭირეს გლეხი პაშტეტოვი რომელსაც ტანზე დიდ-ძალი ასაფეთქებელი ფითილი აღმოაჩნდა შემოხვეული. დიდი სიფრთხილით პაშტეტოვს ფითილი შემოხსნეს და თვითონ გლეხი კი დაატუსაღეს. დატუსაღებულმა პოლიციელების კითხვეზე არავითარი პასუხი არ გასცა.

იქვე დაატუსაღეს კომერციული სასწავლებლის მოწაფე ხარინი, რომელსაც ტანზე აღმოაჩნდა 6 რევოლვერი და დიდ-ძალი პატრონა.

**დეპუტატი მინისტრათ.** როგორც გაზ. „უტრ. როსსიის“ დეპეშით ატყობინებენ, პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი ალი-მარდან-ბეკი თოფჩიბაშევი სპარსეთში მიუწვევიათ მინისტრის ამხანაგათ.

**სტუდენტების მღელვარება.** კიევის პოლიტეხნიკუმში სტუდენტებმა საერთო კრება მოიწვიეს იმის შესახებ, რომ გაფიცვა გამოეცხადებიათ წინა კრების პრეზიდიუმის დატუსაღების გამო. 330 კაცმა 306-ს წინააღმდეგ მიიღო სოციალდემოკრატების რეზოლიუცია, რომელიც უდროოთ სცნობს გაფიცვის გამოცხადებას.

**ბოიკოტის წინააღმდეგ.** რამდენიმე წელიწადია, რაც პოლონელებმა ვარშავის უნივერსიტეტს ბოიკოტი გამოუცხადეს. ამ უნივერსიტეტში დიდ უმრავლესობას ამ ჟამათ შეადგენენ რუსები და ებრაელები. პოლონეთის მოსწავლე ახალგაზდობა კი ევროპის და რუსეთის სხვა ქალაქებში მიდიან უმაღლესი განათლების მისაღებათ. „უ. რ.“ გადმოცემით, პოლონელთა შორის ამ ჟამათ თანდათან ფეხს იკიდებს ის შეხედულება, რომ ბოიკოტი მოხსნან უნივერსიტეტს.

ბოიკოტის წინააღმდეგ კომპანია დაიწყეს გაზეთებმა: „ნოვ რეფორმამ“ და „კურიელიტმა“.

**კადეტების ფრაქციამ** ფინლიანდიის კომისიის წევრებათ დაასახელა მილიუკოვი, როდიჩევი და ბობიანსკი.

მაკლაკოვმა სთხოვა ფრაქციას, რომ ისიც დაენიშნათ ფინლიანდიის კომისიის წევრათ. ფრაქციამ არ შეიწყნარა მაკლაკოვის თხოვნა.

## პროვინცია

**ჭოტორი** (სიღნაღის ნაწილი). თუმცა სიღნაღის მაზრაში ბევრია უყურადღებოთ დატოვებული სოფლები, რომელნიც მხოლოდ ხარჯების გადახდევინების დროს მოაგონდებათ ხოლმე, მაგრამ არა გვგონია ისეთი მივიწყებული სოფელი იყოს სადმე, როგორიც არის ჭოტორი. ჭოტორის საზოგადოებაში დაახლოვებით 200 კომლი მცხოვრებია, რომელნიც სიღნაღის მოქალაქეთ ითვლებიან. მცხოვრებნი უმთავრესათ მიწის მუშაობას ეწევიან, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ მიწა არ გააჩნიათ, იღებენ იჯარით სხვადა სხვა მემამულეებიდან და შემოსავლის დიდ ნაწილს მემამულეს აძლევენ დალაში, თვითონ კი წლიდან წლამდის ვალებს იღებენ. უმიწობამ მცხოვრებთა ერთი ნაწილი ქალაქებისაკენ გამორეკა! თუმცა ბევრი ესადენ აქაური მცხოვრებნი, როგორმე მიწა ეშოვნათ, მაგრამ ამაოთ! დღემდის მათთვის ყურადღება არავის არ მიუქცევია. ჩვენი ბრწყინვალე წოდება თავიანთ მამულებს ხარხ-ვაჭრებს აძლევს იჯარით და ეს უკანასკნელნი კიდევ გაძვალ-ტყავებულ გლეხებს ერთი ორათ ახდევინებენ დალას! კარგა ხანია ჭოტორის საზოგადოება ამ მიწის შესახებ ცდილობს და ამ ხნის განმავლობაში ბ. ჯორჯაძეს ერთხელ ფიქრადაც არ მოსვლია გაეგო გლეხების სურვილი და ან გზა ეჩვენებინა მათთვის. ჭოტორის საზოგადოება მიწის გარდა სხვა რამესაც ბევრსაა მოკლებული, რომლითაც სხვა სოფლები ცოტათ მაინც სარგებლობენ—როგორიც არის შკოლა, გზები, წყალი და სხვა, მაგრამ ჭოტორელებს არც შკოლა აქვთ არც გზა და არც წყალი ამავე დროს კი მოქალაქეთ ითვლებიან. ჩვენი ქალაქის მამები მხოლოდ სახელით არიან, თორემ საქმით არც სიღნაღს არგებენ რამეს, თორემ ჭოტორისთვის სად მოიცლიან! ყველაზე მეტ გაჭირვებას განიცდიან ჭოტორის მცხოვრებნი უშკოლობით და უგზობით. თუმცა შენობა აქვთ შკოლისათვის, მაგრამ მის შესაკეთებლათ ბლომა ფულია საჭირო და ესაა მიზეზი, რომ მცხოვრებნი შეუურებენ მინგრეულ კედლებს და ფიქრადაც არ მოსდით მისი შეკეთება და სასწავლებლის დაარსება. 1905 წელს როდესაც ხალხში მოძრაობამ იჩინა თავი, ჭოტორელებსაც აღუძრათ სურვილი სასწავლებლის დაარსებისა, ეს საქმე იკისრეს ადგილობრივმა მღვდელმა და სხვებმა, მაგრამ არამც თუ გააკეთეს რამე, არამედ—ანგარიშიც არ წარუდგინეს სოფელს, მოგროვილ ფულების შესახებ. საჭიროა ქალაქის თვითმართველობამ ყურადღება მიაქციოს ამას და შენობის შეკეთებაში მაინც აღმოუჩინოს დახმარება, უგზობით ხომ აუწერელ გაჭირვებას განიცდიან ჭოტორელები, დადგება თუ არა შემოდგომა გიდრე მაისამდის სოფელში გავლა შეუძლებელი ხდება! აქაც არას აქცევენ ყურადღებას ქალაქის მამები. მცხოვრებნი ელიან გზის შეკეთებას და მაინც არაფერი ეშველათ. ხარჯებისათვის კი ძალიან ფხიზლათ იქცევა. ბ. ენაკოლოფოვი. ამას წინეთ ჭოტორს ეახლა ბოქაული და გადასახადებს ძლიერ ახდევინებდა, გაქონდა სახლებიდან გირაოები და სხვა. ჩვენი ქალაქის მამების ასეთმა მოქმედებამ მცხოვრებთ გული აუცრუა და სურვილი დაებადათ სახელმწიფოთ ჩაეწერონ. აი ასე ზრუნავენ ჩვენი მამები ქალაქისათვის და თავიანთი უმოქმედობით ქალაქს აშორებენ გებერთიელა ნაწილს. რამდენათაც ვიცით, ამ მოლიტიკას ბ. ენაკოლოფოვი თავის სასარგებლოთ აწარმოებს, რადგან ზევითა ნაწილის ჩამოშორებით არჩევნებში ყოველთვის გამარჯვება თითონ დარჩება. საჭიროა ჭოტორის მცხოვრებლებმა მიაქციონ ამას ყურადღება, არ აუგონ ენაკოლოფოვის ხრიკებს, მოსთხოვონ სასწავლებელი და გზა და წყალი, რასაც ბ. ენაკოლოფოვი მოვალეა ანგარიში გაუწიოს.

ბოგანო.

## სასამართლო

### დიმიტრი მგელაძის გასამართლება.

(წერილი ქუთაისიდან)

19 მარტს ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ოზურგეთის მაზრის მცხოვრების, სტრაჟნიკთა ურიადნიკის, ცნობილი დიმიტრი მგელაძისა. მგელაძეს ბრალდებოდა მიქელ-გაბრიელის (გურია) საზოგადოების მცხოვრების გიორგი ტუღუშის დაჭრა.

ეს მოხდა 25 დეკემბერს, 1908 წელს სად. ნატანებში. ამ დღეს ოზურგეთის მაზრის უფროსის განკარგულებით მიქელ-გაბრიელის საზოგადოებიდან გამოწვეული იყო რამდენიმე მეურმე, რომლებსაც უნდა გადაეზიდათ ნატანებიდან ოზურგეთამდე ჯარის ნივთები. დანიშნულ დროს მეურმე გიორგი ტუღუში სხვა მეურმეებთან ერთათ, ჩამოვიდა ურმით სად. ნატანებში. ჯარის ნივთები მათთვის უნდა გადაეცა სტრაჟნიკებს, მაგრამ მათ განუცხადეს—სანამ უფროსი არ გვიბრძანებს, მანამდე მოიცადეთო. დღის 2 საათზე მოვიდა ურიადნიკი მგელაძე, რომელმაც მეურმეები დაიბარა „სტრაჟნიკების პოსტზე“, მივიდენ თუ არა მეურმეები, მგელაძეს სრულიად უმიზეზოთ დაუწყია მათი ლანძღვა-გინება. მეურმეებს ხმა არ გაუციათ. მგელაძე არ დაკმაყოფილებულა ლანძღვა-გინებით, ამოუღია ხმალი და სიბრტყით უცემია მეურმე აჩესა გობრონიძისათვის, შემდეგ ამოუღია ხანჯალი, მივარდნილა მეურმე ტუღუშთან და დაუკრავს გულში და მსუბუქათ დაუჭრია. ამის გამო მგელაძე მიცემულ იქნა პასუხის-გებაში. საქმის გარჩევამდე კი, ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით გადაყენებულ იქნა სამსახურიდან. 19 მარტს სასამართლო შეუდგა საქმის გარჩევას. სასამართლოში გამოცხადდა მგელაძე, ტუღუში და ათამდე მოწმე ორივე მხრიდან. მგელაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი მ. ქიქოძე, ტუღუშს—ნაფიცი ვექილის თანაშემწე ი. კაჩუხოვი. 11 საათზე დაიწყო საქმის გარჩევა. სასამართლოს ზალაში გამოჩნდა ურიადნიკი მგელაძე თავიდან ფეხებამდის შეიარაღებული. სასამართლოს თავმჯდომარემ წინადადება მისცა მას იარაღი აეყარა. მგელაძე იყრის იარაღს, აბარებს მასთან მყოფ ივანე ჯაყელს და იჭერს დამნაშავის სკამს, სადაც მას უთითებენ. საბრალდებულო ოქმის წაკითხვის შემდეგ დაიწყო მოწმეების შეკითხვა.

**სასამართლოს თავმჯდომარე.** შენ მამული გაქვს?

**მგელაძე.** მაქვს ბატონო, მაგრამ გურიის გლეხ-კაცობამ ბოიკოტი დაადვა, არ მუშაობენ და ამიტომ არავითარ შემოსავალს არ მაძლევს. მას კიდევ უნდოდა რაღაცეები ეთქვა, მაგრამ თავმჯდომარემ ხმა გააწყვეტია—ბოიკოტი ჩვენი საქმე არ არის, რასაც გეკითხებით იმაზე გვიგე პასუხიო.

**თავმჯდომარე.** სცნობ თუ არა შენ თავს დამნაშავეთ იმაში, რომ 25 დეკემბერს, 1908 წელს სად. ნატანებში ხმლით სცემე მეურმე გობრონიძეს და ხანჯლით დასჭერი მეურმე გიორგი ტუღუში.

**მგელაძე.** მე, რომელმაც თავი შევსწირე მთავრობის სამსახურს, სამსახურის ასრულების დროს ურჩობა... (თავმჯდომარე აწყვეტინებს: გიმეორებ, ჩვენ არ გეკითხებით არც ერთგულობაზე, არც ურჩობაზე. მოკლეთ გვიპასუხე—სცნობთ თუ არა თავს დამნაშავეთ?)

**მგელაძე.** დამნაშავე ვიქნები უთუოთ, მაგრამ მთვრალი ვიყავი და რა ჩავიდინე არ ვიცი.

ეკითხებიან მოწმეებს. თითქმის ყველა მოწმეებმა გარდა ორისა (სტრაჟნიკებია მგელაძის) აჩვენა, რომ მგელაძემ უმიზეზოთ დაუწყო ხმლით ცემა გობრონიძეს და აგრეთვე უმიზეზოთ დასჭრა ხანჯლით მეურმე გიორგი ტუღუში, რომელიც ათ თვეს ექიმობდა ამ ჭრილობის მოსარჩენათო.

**თავმჯდომარე** (გაკვირვებით). რისთვის, რა მიზეზით დასჭრა მგელაძემ მეურმე. ის მხეცი ხომ არ იყო, ან ჭკუა შეშლილათ ხომ არ იცნობთო და სხვ. ამაზე მოწმეები უპასუხებდენ—არ ვიცით.

დამცველი **კაჩუხოვი** ეკითხება მოწმეებს: გაუგონიათ თუ არა მათ კიდევ, რომ მგელაძე უბრალოთ სცემდა ხალხს—ამაზე მოწმეებმა გარდა ერთისა «არ ვიცითო» უპასუხა ერთმა კი შემდეგი სთქვა: გაგვიგონია კი არა ბატონო, თვალითაც მინახავს, როგორ ურტყამდა მგელაძე უბრალო მუშებს. ის ყველას შიშს ზარს გვრიდა. მისი სამართალი მათრახი იყოო და სხვა. შემდეგ შეეკითხენ მოწმე სტრაჟნიკებს, რომლებმაც აჩვენეს: მგელაძე მთვრალი იყო. მეურმეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. მან ხანჯლით გაფანტვა მოინდომა მათი, მაგრამ მეურმე ტუღუში არ დაერიდა და თვითონ უცბათ წამოეგო მგელაძის ხანჯალზეო.

**კაჩუხოვი** ეკითხება მოწმე სტრაჟნიკებს: მგელაძე შეიარაღებული იყო? იყო. რამდენი სტრაჟნიკები იყავით მასთან? ექვსი. თქვენც შეიარაღებული იყავით? ამა, ისე როგორ ვიქნებოდით. მეურმეებს ჰქონდათ რაიმე იარაღი? არავითარი—უპასუხეს სტრაჟნიკებმა.

**კაჩუხოვი.** ბ. ბ. მოსამართლენო! წარმოიდგინეთ გამხეცებული ურიადნიკი ამოღებული ხანჯლით ხელში, მასთან ექვსი სტრაჟნიკები იარაღშივე გაჭედილი, ნუ თუ შესაძლებელია ან საფიქრებელი, რომ მას მეურმეები წინააღმდეგობას გაუწევდენ!

თავდება მოწმეების შეკითხვა და სიტყვას ამბობს სასამართლოს პროკურორი, ის თუმცა-და ხედავს ამაში მგელაძის დანაშაულობას, მაგრამ ისეთათ არ თვლის, რომ მისი პატიება არ შეიძლებოდეს. შემდეგ სიტყვა ეძლევა დამცველებს:

**კაჩუხოვი.** თქვენ წინ დგას (უთითებს მგელაძეზე), ბ-ნო მოსამართლენო, მხეცი ადამიანის სახით. თვით ბ-ნი თავმჯდომარე წეღან გაკვირვებით ეკითხებოდა მოწმეებს: რისთვის, რა მიზეზით ჩაიდინა ეს მგელაძემ, მას მხეცათ ხომ არ იცნობდით, ჭკუაზე შეშლილი ხომ არ იყოვო და სხვა. და მართლაც, წარმოიდგინეთ,—მეურმეებს დაუტოვებიათ თავიანთი შინაური საქმეები, მოსულან სახელმწიფო სამსახურისათვის და ნაცვლათ მადლობისა მათ, აგინებენ, სცემენ, ამასაც არ სჯერდებიან და სჭრიან; მთავრობის დაბალი მოსამსახურე მგელაძე, მხოლოდ თავის თავს სცნობს გურიის ბატონათ, მისი მოქმედება ჩვენ აშკარათ გვეუბნება—ვინც მე არ მომწონს, უნდა ვცემო, უნდა ვაწამო, უნდა დავსჭრა. ერთი სიტყვით, რაც მომესურვება ის უნდა ვუყო, მარტო ეს მეურმეები ტუღუში და გობრონიძე კი არ უწვალებია მას, მას არა ერთხელ და ორხელ უწვალებია უდანაშაულო გურიის გლეხებიც. დღეს ასეთი «მხეცი» წარმოსდგა თქვენს წინაშე. მთელი გურიის ხალხი, ბ-ნო მოსამართლენო, ელის ამაზე თქვენს პასუხს. თქვენ უნდა დაუმტკიცოთ გურიის ხალხს, რომ კანონი წინააღმდეგია ცემა-ტყეპის. და თუ ამას მაინც ჩადიან, ესაა აშკარა უკანონობა, რისთვის ისინი პასუხის მგებლი უნდა დარჩენ სასამართლოს წინაშე. მან მოითხოვა მგელაძისგან ყველა იმ ხარჯის ანაზღაურება, რაც მან ტუღუშს მიაყენა და ასეთ მხეცური მოქმედებისათვის დაისაჯოს. მე მოვითხოვ მის დასჯას არა იმიტომ, რომ მოხარული ვიყო ადამიანის წვალების და დასჯის, არამედ—ამგვარი სასჯელით თქვენ მაგალითი უნდა მისცეთ სხვა მაგვარ პირებს.

**მ. ქიქოძე** უდგენს სასამართლოს მგელაძის მოწმობას და მოითხოვს მის განხილვას, რომ გაიგონ—თუ რა კაცი იყო მგელაძე. სასამართლომ ეს უარყო. შემდეგ ის ამბობს: სანამ მოსამართლეებს არ გამოუტანიათ განაჩენი და მტყუანათ არ უცვნიათ მგელაძე, კაჩუხოვს არ ჰქონდა არავითარი უფლება მისთვის მხეცი ეწოდებია. მართალია, მეც მსმენია მგელაძეზე ცუდი ხმები,—რომ ის სასტიკია, მას ზიზღით იხსენიებდენ, მაგრამ არ იკითხავთ ვინ? ვინ და ხალხი. ახლა იკითხეთ როგორ აფასებდენ მას ისინი, ვინც სამსახურში ჩააყენა და მთავრობის მოვალეობის ასრულება დაავალა—ისინი მას საუკეთესო კაცათ თვლიდენ და სთვლიან დღესაც, ასეთ კაცს სამსახურის ასრულების დროს რომ ცოტა შეცდომა მოუვიდეს, დიდ დანაშაულობათ არ ჩაეთვლება. ასეთი მოვლენა ხშირია, მით უმეტეს, როგორც ორი მოწმე ამბობს—ის მთვრალი ყოფილა, თუმცა-და დანარჩენი მოწმეები ამას არ ადასტურებენ, მაგრამ ისინი ამბობენ არ ვიცით—იყო თუ არა მთვრალიო. აქედან ის დასკვნა არ შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ ვითომ ის მთვრალი არ ყოფილიყოს.

რაც შეეხებ ხარჯების ანაზღაურებას,—ამბობს ქიქოძე—იმ ჭრილობით ტუღუში მაინც და მაინც არ დაცდებოდა და მოითხოვს ჯარი უთხრან ხარჯების ანაზღაურებაზე.

**კაჩუხოვი.** მართალია, მგელაძე იყო მთვრალი, მაგრამ არა ღვინით, არამედ—მეურმეების სისხლის ძიებით. მას უნდოდა მათი ცემით დამტკბარიყო და სხვა. ის ხელმეორეთ მოითხოვს მგელაძის დასჯას და ხარჯების ანაზღაურებას.

დაბოლოს სიტყვა ეძლევა მგელაძეს. ის თვალებ აცრემლებული ამბობს: ხალხი მდევნის, მთავრობამაც თუ გამიძულეთ—თავი უნდა მოვიკლა, მეტი გზა აღარ დამრჩენიაო და თხოულობს გამართლებას.

სასამართლომ დამნაშავეთ იცნო მგელაძე და მიუსაჯა სამი კვირით ციხეში ჯდომა და 200 მანეთის გადახდა ტუღუშის სასარგებლოთ.

ხოჩხათელი გახუტა.

## თეატრი და ხელოვნება

**ფოთი.** 13 და 19 მარტს ადგილობრივ საკრებულოს დარბაზში წარმოდგენილ იქნა „ჰამლეტი“ და „ურიელ აკოსტა“. მიუხედავათ იმისა, რომ აქაურებისათვის ხელოვნება და ხელოვნური ნაწარმოებნი მოთხოვნილებათ არ გადაქცეულან ჯერ კიდევ „ჰამლეტის“ ბლომათ დაესწრო საზოგადოება. ამის უმთავრესი მიზეზი ჩვენის აზრით ის მესხიშვილია, რომლის ნახვა დამსწრეთა უ... რავლესობას უფრო აინტერესებდა საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ აქაური საზოგადოებისათვის (დიდი ნაწილისთვის) „ჰამლეტი“ მიუწვდომელია, ვინაიდან საზოგადოება უფრო აინტერესებს პიესის სიუჟეტი, ვიდ უგვდაგ ტიპთა ხორცთ-შესხმა, და როცა სიუჟეტს გებულობს, ჰგონია—ყველაფერი გაგო. ადგილობრივი „საზოგადოება“ „ჰამლეტის“ გაგებამდის ვერ ამაღლებულა ჯერ.

ბ-ნმა მესხიშვილმა ჩინებულათ გადმოგვცა „ჰამლეტის“ სულიერი განცდა, მისი რყევა. რაც შეეხება ამსრულებელთ, უნდა ვთქვათ, რომ მესხიშვილს გარდა კარგი იყო ოფელია (ქ-ნი მდივანი), ძლიერ სუსტობდა დედოფალი (ს. რიონელი), გვარიანი ლაერტი იყო ზარდალიშვილი, როგიანათ ჩაატარა აქტიორის როლი გვარაძემ. სხვები საერთო ანსამბლს ხელს უწყობდენ. ადგილობრივ სცენაზე (რადგან მოუხერხებელი დარჩა) „მოჩვენება“ არ გამოჩენილა. გამოშვებული იყო სასაფლაო, ეს ერთი კარგ ადგილთაგანი. ამ უნებლიეთ „დეფექტებმა“, რა თქმა უნდა ხელი შეუშალა შთაბეჭდილების მთლიანობას. უოველ აქტის შემდეგ და წარმოდგენის გათავებისას, მესხიშვილი ხანგრძლივი ტაშით იქნა დაჯილდოვებული.

— ბარასკევს, 20 მარტს, წარმოდგენილ იქნა „ურიელ აკოსტა“. საერთოთ პიესამ მწუხარათ ჩაიარა. ამ პიესაში მესხიშვილმა სრულიად დაიმონავა დამსწრეთა გული. კარგი იყო იუდით (ქ-ნი მდივანი) გვარიანი იყო რაბინი (ბ-ნი მატარაძე), კარგი იყო ექიმი (ზარდალიშვილი) ბევრი აცინა დამსწრენი თავის მოხდენილი თამაშით კ. მესხმა (უფროსი რაბინი). მოთამაშენი ძლიერი ტაშის ცემით იქნენ დაჯილდოვებულნი. თვით მესხიშვილს უოველ კუთხიდან ყვავილებს ესროდენ. „ურიელს“ ხალხი შედარებით ნაკლები დაესწრო და ეს იმიტომ, რომ 20 მარტს მოელოდენ „მაგ ბერს.“

ამასთან არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ დამსწრეთაგან ის „უწესობა“, რომელმაც ჩვენში, სამწუხაროთ, ქრონიკული ხასიათი მიიღო. როცა ძლიერი სცენებია, მაშინ ისმის ხმაურობა. ბევრი სხვის ადგილებს იჭერენ და ხელს უშლიან მსმენელებს. საჭიროა ამას ბოლო მოეღოს, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმეს მოსმენა შეუძლებელი იქნება.

— როგორც გავიგეთ, ხსენებული დასი რჩება აქ 28 მარტამდე ამ დღეს წარმოდგენილი იქნება პირველათ „მაგი ბერი“ და „სამოდელონის სიკვდილი“.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე.


## განცხადება

კბილის საექიმო კაბინეთი

**იოხველისა**

(„გაუფრთხილდით კბილებს“ ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—35)

ქუთაისში

კიწმარაშვილის და ამხანაგობის

**თესლეულობის მაღაზიაში**

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კონიდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების პახხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ.

(25—12)

ქ. ბათუმში

ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობის

მაღაზია

**პ. ა. მაჭარაძისა და პ. ა. ჭეიშვილის**

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანსის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთული და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი სადუქნო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კაუჯი ავეჯი, კრავატები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, **ფასები ხელმისაწვდომია** ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს. (0—9)


სტამბა „შრომა“ რუსის ქუჩა № 3.